პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

1 ნოემბერი

ოთხშაბათი, 1961 წ.

№ 176 (1812)

გამოცემის მე-16 წელი.

ფასი 8 კაპ.




# წინ, კომუნიზმისაკენ!

## საინფორმაციო ცნობა

## სკკპ XXII ყრილობის შესახებ

31 ოქტომბერს დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის ამხ. პ. ნ. დემიჩევის ცნობა პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნების შედეგების შესახებ.

ყრილობის დელეგატები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ცნობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრების, ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატების, ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრების ერთხულოვნად არჩევის შესახებ.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნების დროს ერთხულოვანი ხმის მიცემა ერთხელ კიდევ მოწმობს ჩვენი ლენინური პარტიის ერთიანობასა და მონოლითურ შეკავშირებას. იგი არჩეული ამხანაგების სახელით მადლობას უხდის ყრილობის დელეგატებს დიდი ნდობისათვის.

ყრილობის საღამოს სხდომაზე თავმჯდომარე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი აცხადებს, რომ გაიმართა ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც აირჩია ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი, ცენტრალური კომიტეტის სამდივნო, დაამტკიცა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე და პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. იგი აცხადებს აგრეთვე, რომ ცენტრალურმა სარევიზიო კომისიამ აირჩია კომისიის თავმჯდომარე.

ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიურო.

კომისიების მოხსენებათა შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა XXII ყრილობის რეზოლუციები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის შესახებ, სკკპ პროგრამა და სკკპ წესდება.

მოკლე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა. მან დახურულად გამოაცხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა. დელეგატები და სტუმრები დიდი აღფრთოვანებით მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

## მოსკოვში გაიხსნა კარლ მარქსის ძეგლი



29 ოქტომბერს მოსკოვში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა კარლ მარქსის ძეგლი.

**სურათზე:** ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი. სიტყვას ამბობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი.

ვ. ეგოროვისა და ვ. მასტიუკოვის ფოტო.

# საინფორმაციო ცნობა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

**1961** წლის **31** ოქტომბერს გაიმართა პლენუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც აირჩია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ.

პლენუმმა აირჩია **სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი** შემდეგი შემადგენლობით:

პრეზიდიუმის წევრები: ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. მ. შვერნიკი, ნ. ს. ხრუშჩოვი.

პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატები: ამხანაგები ვ. ვ. გრიშინი, შ. რ. რაშიდოვი, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მჟავანაძე, ვ. ვ. შჩერბიცკი.

პლენუმმა აირჩია **სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო** შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ამხანაგები ფ. რ. კოზლოვი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ო. ვ. კუუსინენი, ბ. ნ. პონომარიოვი, ი. ვ. სპირიდონოვი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი.

პლენუმმა **სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის** თავმჯდომარედ აირჩია ამხანაგი ნ. მ. შვერნიკი, პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ — ამხანაგი ზ. ტ. სერდიუკი.

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ სარევიზიო კომისიაში

**1961** წლის **31** ოქტომბერს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა.

ცენტრალურმა სარევიზიო კომისიამ კომისიის თავმჯდომარედ აირჩია ამხანაგი ნ. ა. მურავიოვა.

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიურო

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიურო შემდეგი შემადგენლობით:

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი — თავმჯდომარე.

ამხანაგი გ. ი. ვორონოვი — თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ამხანაგი ა. ფ. ლომაკო — თავმჯდომარის მოადგილე.

ბიუროს წევრები ამხანაგები: გ. გ. აბრამოვი, ლ. ნ. ეფრემოვი, მ. ა. იასნოვი, ა. პ. კირილენკო, ნ. ნ. ორგანოვი, დ. ს. პოლიანსკი, ა. ვ. რომანოვი, ვ. მ. ჩურაევი.

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების ცვლილებათა შესახებ

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ფ. რ. კოზლოვის მოხსენება

### სკკპ XXII ყრილობაზე 1961 წლის 28 ოქტომბერს

ამაღელვებელ, სასიხარულო დღეებს განიცდის,—ამბობს ამხ. ფ. რ. კოზლოვი,—სახელოვანი ლენინური კომუნისტური პარტია. კრემლისაკენ, დარბაზისაკენ, სადაც ჩვენი ყრილობა მიმდინარეობს, ახლა მიპყრობილია მთელი საბჭოთა ხალხის, მთელი კაცობრიობის ყურადღება.

XXII ყრილობის განსახილველად, განაგრძობს ამხ. კოზლოვი, შემოტანილია საკითხი სკკპ წესდების ცვლილებათა შესახებ. პარტიის წესდება მისი საშინაო ცხოვრების ძირითადი კანონია. იგი განსაზღვრავს შინაპარტიული ცხოვრების ნორმებს, პარტიის წყობის ორგანიზაციულ პრინციპებს, მისი პრაქტიკული საქმიანობის მეთოდებს.

ჩვენს ყრილობაზე სკკპ წესდების ცვლილებათა საკითხის განხილვა სავსებით კანონზომიერია. ახალი პროგრამა პარტიას, ყველა კომუნისტს აკისრებს ახალ, უფრო მაღალ მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობენ კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ამოცანებიდან.

დიდი ლენინი გვასწავლიდა, რომ ყოველთვის, როდესაც პარტიის წინაშე წამოიჭრება ახალი ამოცანები, მან უნდა შეიმუშაოს თავისი საშინაო ცხოვრების ისეთი ორგანიზაციული ფორმები, ისეთი წესები და ნორმები, რომლებიც შეესაბამება მისი საქმიანობის ისტორიულ პირობებს და უზრუნველყოფს ამ ამოცანების შესრულებას. სწორედ ამ დებულებით ხელმძღვანელობდა ცენტრალური კომიტეტი, როდესაც შეიმუშავა სკკპ წესდების პროექტი, რომელიც შემოტანილია ყრილობის განსახილველად.

თანამედროვე პირობებში, განაგრძობს მომხსენებელი, განუზომლად იზრდება თვითეული კომუნისტის როლი, მისი პასუხისმგებლობა პარტიისა და ხალხის წინაშე, მაღლდება პარტიის წევრის წოდება. პროგრამის ამ დებულებათა მიხედვით წესდების პროექტში განსაზღვრულია კომუნისტის ძირითადი მოვალეობანი და უფლებანი, ჩამოყალიბებულია ორგანიზაციული ნორმები, რომლებითაც ხდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში მიღებისა და გარიცხვის წესის რეგულირება.

პარტიის წევრობის საკითხი პარტიული მშენებლობის ერთერთი ძირეული საკითხია. პარტიის შემადგენლობაზეა დამოკიდებული უწინარეს ყოვლისა მის მიერ საბჭოთა ხალხის ავანგარდის პასუხსაგები როლის წარმატებით შესრულება, მისი სიმტკიცე და ბრძოლისუნარიანობა. პარტია კვლავაც შეავსებს თავის რიგებს ჩვენი საზოგადოების ყველაზე შეგნებული და აქტიური წევრებით, წმიდად შეინახავს და აამაღლებს კომუნისტის წოდებას.

წესდების პროექტის პირველ პარაგრაფში, აღნიშნავს მომხსენებელი, მთლიანად შენარჩუნებულია პარტიის წევრობის ლენინური პრინციპი. ახალია განსაზღვრა, რომ პარტიის წევრი შეიძლება იყოს სსრ კავშირის ყველა მოქალაქე, „რომელიც აქტიურად მონაწილეობს კომუნიზმის მშენებლობაში", ეს მოთხოვნა შეესაბამება ახალ პირობებს პარტიის ცხოვრებაში, იგი იმის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია, თუ ვის შეუძლია იყოს სკკპ წევრის წოდების ღირსი კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

პარტიის წევრი შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყოს, უნდა ამაღლებდეს შრომის ნაყოფიერებას, გამოდიოდეს ყოველივე ახლის თაოსნად, მხარს უჭერდეს და ავრცელებდეს ყოველივე მოწინავესა და პროგრესულს. კომუნისტი მოვალეა ეუფლებოდეს ტექნიკას, სრულყოფდეს თავის კვალიფიკაციას, აქტიურად მონაწილეობდეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. კომუნისტის მიერ ამ მოვალეობის შესრულება უწინარეს ყოვლისა განსაზღვრავს მისი პოლიტიკური სიმწიფის, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი საქმისადმი ერთგულების ხარისხს.

კომუნისტის მოვალეობაა, აღნიშნავს შემდეგ მომხსენებელი, მუდამ უწყობდეს ხელს კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბებასა და აღზრდას, მტკიცე ბრძოლას ეწეოდეს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარ გამოვლინებასთან, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის ნაშთებთან და წარსულის სხვა გადმონაშთებთან, იყოს მაგალითი კომუნისტური მორალის ნორმების დაცვაში, მუდამ და ყველაფერში საზოგადოებრივ ინტერესებს პირად ინტერესებზე მაღლა აყენებდეს.

მარქსისტულ-ლენინურ პარტიას, რომელიც ხელისუფლების სათავეში დგას, არ გააჩნია თავისი მუშაობის სრულყოფის, კადრების აღზრდის, ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და შეცდომათა გამოსწორების უფრო საიმედო და სანდო საშუალება, ვიდრე კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნაცადი მეთოდია. პარტიის წევრის ერთერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარება, პარადულობის, ყოყოჩობის, თვითდამშვიდების, ბიუროკრატიზმის, კუთხურობის წინააღმდეგ ბრძოლა.

ჩვენი პარტია არსებობს ხალხისათვის, მის სამსახურში იგი ხედავს თავის მაღალ მოწოდებას, თავისი საქმიანობის აზრს. პარტია განუხრელად ხელმძღვანელობს ლენინური მითითებით, რომ არა მარტო უნდა ვასწავლოთ მასებს, არამედ უნდა ვისწავლოთ მათგან, შევისწავლოთ და გამოვიყენოთ მასების გამოცდილება.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სოციალისტური პატრიოტიზმის სულისკვეთებით საბჭოთა ადამიანების აღზრდას წესდების პროექტი განიხილავს როგორც პარტიის წევრის ერთერთ უმნიშვნელოვანეს მოვალეობას.

ჩვენი პარტიის ძალა და უძლეველობაა მისი რიგების ერთიანობა და ურყევი მონოლითურობა, შეგნებული რკინისებური დისციპლინა. პარტიის წევრი მოვალეა ყოველი ღონისძიებით იცავდეს პარტიის იდეურ და ორგანიზაციულ ერთიანობას, იჩენდეს სიფხიზლეს, იცავდეს პარტიას, რათა მის რიგებში არ მოხვდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც კომუნისტის მაღალი წოდების ღირსნი არ არიან.

სკკპ წესდება ავალებს კომუნისტს გამოვიდეს ყოველგვარი მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც ზიანს აყენებს პარტიასა და სახელმწიფოს, ყველგან და ყველაფერში იყოს პრინციპული, გამოიჩინოს ბოლშევიკური შეურიგებლობა მოტყუების, სიცრუისა და თვალთმაქცობის ფაქტებისადმი.

სკკპ წესდებას ემატება მთელი რიგი დებულებანი, რომლებმაც კიდევ უფრო უნდა აამაღლოს პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა პარტიაში მიღებისათვის, სკკპ რიგებში საბჭოთა საზოგადოების ყველაზე შეგნებული მოწინავე ადამიანების ინდივიდუალური შერჩევის პრინციპის დაცვისათვის.

საჭიროა ყურადღებით გავერკვეთ ყველაფერში, რაც პარტიის წევრის ბედს ეხება. მაგრამ არ შეიძლება აგრეთვე შევამციროთ მომთხოვნელობა კომუნისტებისადმი. უნდა გამოვიჩინოთ შეურიგებლობა და პრინციპულობა იმათ მიმართ, ვინც თავისი საქციელითა და მოქმედებით ზიანს აყენებს პარტიას.

პარტიის ორგანიზაციული წყობის ურყევი საფუძველია დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპი. იგი ორგანიზებულობასა და უმტკიცეს დისციპლინას ჰარმონიულად უხამებს ყველაზე ფართო შინაპარტიულ დემოკრატიას. პარტიის მიერ შეძენილი გამოცდილების საფუძველზე წესდების პროექტი ავითარებს პარტიული მშენებლობის ამ ურყევ ლენინურ პრინციპს.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს წესდების პროექტში მოცემულ დებულებას იმის შესახებ, რომ პარტიული ხელმძღვანელობის უმაღლესი პრინციპია ხელმძღვანელობის კოლექტიურობა, რომელიც უზრუნველყოფს პარტიას, ყველა მის ორგანოს ცალმხრივ, სუბიექტურ გადაწყვეტილებათა მიღებისა და მოქმედებისაგან. მხოლოდ კოლექტიური ხელმძღვანელობა ქმნის პირობებს კომუნისტების აქტივობისა და ინიციატივის განვითარებისათვის, უზრუნველყოფს კადრების სწორ აღზრდას. თავისთავად იგულისხმება, რომ ხელმძღვანელობის კოლექტიურობა ოდნავადაც არ ასუსტებს მუშაკის პერსონალურ პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის კოლექტიურად მიღებული გადაწყვეტილების შესრულებისათვის.

სკკპ პროგრამის შესაბამისად, წესდების პროექტი ითვალისწინებს პარტიული კომიტეტების შემადგენლობის პერიოდულ განახლებას და ხელმძღვანელობის მონაცვლეობას.

შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომ განვითარებას შეესაბამება წესდების პროექტით გათვალისწინებული მოვალეობა პარტიული ორგანოებისა სისტემატური ინფორმაცია მიაწოდონ პარტიულ ორგანიზაციებს თავიანთი მუშაობის შესახებ.

პარტია ძლიერია თავისი წევრების აქტივობით. კომუნისტი არა მარტო ასრულებს ზემდგომი პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებებს, არამედ პირადადაც, თავისი ძალღონის მიხედვით, მონაწილეობს ამ გადაწყვეტილებათა შემუშავებაში. აი რატომ უნდა იყოს უზრუნველყოფილი პარტიული პოლიტიკის საკითხები თავისუფალი და საქმიანი განხილვისა და სადავო ან არასაკმაოდ ნათელ საკითხებზე დისკუსიების მოწყობის სრული შესაძლებლობა, როგორც ცალკეულ ორგანიზაციებში, ისე მთლიანად პარტიაში. სწორედ ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა წესდების პროექტში.

წესდების პროექტის დიდმნიშვნელოვანი თავისებურებაა ადგილობრივი პარტიული ორგანოების როლის ამაღლება, მათი ინიციატივისა და დამოუკიდებლობის გაფართოება იმ სამეურნეო, პოლიტიკური ამოცანების გადაჭრაში, რომლებიც დგას ოლქის, მხარის, რესპუბლიკის წინაშე. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია პარტიათა ან პარტიის კომიტეტთა ფედერაცია როდია. იგი ცენტრალიზებული ორგანიზაციაა.

პარტიას, ამბობს შემდეგ ამხ. კოზლოვი, უფლება არა აქვს გამორიცხოს თავისი არსენალიდან თავისი რიგების იდეური და ორგანიზაციული ერთიანობისათვის ბრძოლის საშუალებანი. ამიტომ წესდებაში შენარჩუნებულია გარანტიები უმნიშვნელო უმცირესობის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ თავს მოახვიოს თავისი ნება უმრავლესობას, აგრეთვე გარანტიები ფრაქციული დაჯგუფებების შექმნის ცდებისა და პარტიის გათიშვის ცდების წინააღმდეგ.

საბჭოთა საზოგადოებაში, აღნიშნავს შემდეგ მომხსენებელი, აღარ არის სოციალური ბაზა, რომელსაც შეეძლებოდა ესაზრდოებინა რაიმე ოპორტუნისტული მიმდინარეობა პარტიაში. მაგრამ ცალკეულ პირთა და ჯგუფთა იდეური მერყეობის წყარო ჯერ კიდევ არ არის მთლიანად აღმოფხვრილი.

კარგად არის ცნობილი, თუ პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ლენინური კურსის განხორციელებისათვის რა გააფთრებული წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა ფრაქციული ანტიპარტიული ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მალენკოვი, ვოროშილოვი, ბულგანინი, პერვუხინი, საბუროვი და მათთან მიმხრობილი შეპილოვი.

ამ ჯგუფის მონაწილეებმა უღალატეს პარტიული ცხოვრების ლენინურ პრინციპებს. ისინი ისწრაფვოდნენ რადაც უნდა დასჯდომოდათ განეხორციელებინათ თავიანთი ანტიპარტიული ზრახვები, იქამდე დაეშვნენ, რომ აწყობდნენ საიდუმლო შეკრებებს, გულში ატარებდნენ პარტიისა და ქვეყნის ხელმძღვანელობის ხელში ჩაგდების, პარტიის პოლიტიკის შეცვლის გეგმებს. მოლოტოვსა და სხვებს უნდოდათ დაებრუნებინათ ჩვენი პარტიისა და ქვეყნისათვის მძიმე დროება, როცა ბატონობდა პიროვნების კულტით გამოწვეული მანკიერი მეთოდები და მოქმედება, როცა არავინ არ იყო დაზღვეული თვითნებობისა და რეპრესიებისაგან.

ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში ყრილობისადმი და გუშინ საბოლოო სიტყვაში ამბობდა, აღნიშნავს შემდეგ მომხსენებელი, რომ უკანასკნელ დროს ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელებმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ხელმძღვანელობის მხრივ რაიმე საბაბის მიუცემლად, სავსებით შეცვალეს პოლიტიკური კურსი, დაადგნენ ჩვენს პარტიასთან, საბჭოთა კავშირთან, სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის მკვეთრი გაუარესების გზას. ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელების, უწინარეს ყოვლისა მეჰმედ შეჰუსა და ენვერ ხოჯას მოქმედება თვალნათლივ ცხადყოფს, თუ რა შეიძლება გამოიწვიოს პიროვნების კულტის რეციდივებმა, პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების დარღვევამ, პარტიასა და ქვეყანაში ანტიდემოკრატიული წესების დანერგვამ.

ჩვენ მტკიცედ უნდა ვთქვათ, რომ მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ნამდვილი ერთიანობა შესაძლებელია მხოლოდ პრინციპულ მარქსისტულ-ლენინურ საფუძველზე და არა ალბანეთის ხელმძღვანელობის მანკიერი ხაზის მიჩქმალვაზე. ამ შემთხვევაში იცავდე დუმილის პოზიციას იმას ნიშნავს, რომ აქეზებდე ადამიანებს განაგრძონ მცდარი, ანტილენინური მოქმედება. ჩვენს პარტიას არ შეუძლია დაადგეს ასეთ გზას.

პარტიის, მისი ადგილობრივი ორგანოებისა და პირველადი ორგანიზაციების ორგანიზაციული მუშაობის ცენტრალური ამოცანაა ხელმძღვანელი კადრების შერჩევა და განაწილება, მათი აღზრდა კომუნისტური იდეურობის, დაკისრებული საქმისათვის პარტიისა და ხალხის წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

პარტიული კომიტეტები მოვალენი არიან გამოიჩინონ მაღალი მომთხოვნელობა კადრებისადმი. მათი მოვალეობაა მოთმინებით იმუშაონ ადამიანებთან, ზარდონ ისინი მაღალი იდეურობისა და პრინციპულობის სულისკვეთებით.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიულ მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისების განვითარებას. საჭიროა, რომ პარტიული ორგანოების აპარატი მცირდებოდეს, ხოლო პარტიული აქტივის რიგები იზრდებოდეს.

პარტიის ძირითადი რგოლი, სადაც კომუნისტი ყალიბდება როგორც იდეური, შეგნებული და აქტიური მებრძოლი, პირველადი პარტიული ორგანიზაციაა. ვერაფერი ვერ შეცვლის აღზრდის იმ სკოლას, რომელსაც კომუნისტი პარტიულ კოლექტივში გაივლის. პირველადი ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობას ეწევიან თვით მასებში, პარტია პრაქტიკულად ახორციელებს თავის ხელმძღვანელობას მასებისადმი, ახორციელებს თავის პოლიტიკას და თავის გადაწყვეტილებებს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მეშვეობით.

მთავარი, რაც ამჟამად პირველადი ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია, არის ბრძოლა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთ[...] განვითარება, მშრომელთა კომ[...]ნისტური აღზრდის საკითხები.

ამ ამოცანების წარმატებით [...] დაჭრისათვის საწარმოო და სა[...]რო საწარმოების, საბჭოთა მეუ[...]ნეობებისა და კოლმეურნეობ[...] პირველადს ორგანიზაციებს აქ[...] ისეთი ძლიერი და ქმედითი საშ[...]ლება, როგორიც არის ადმინის[...]რაციის საქმიანობის კონტრო[...] უფლება. ამ უფლებას წესდებ[...] პროექტი ახლა ანიჭებს აგრეთ[...] წარმოებასთან უშუალოდ და[...]შირებული საპროექტო დაწეს[...]ბულებების, საკონსტრუქტორ[...] ბიუროების, სამეცნიერო-საკვლე[...] ინსტიტუტების პირველადს ორ[...]ნიზაციებს.

პარტია თავის დიად ამოცანებ[...] შეასრულებს მხოლოდ იმ პირო[...]ბით, თუ ყველა თავის წევრს [...] ყველა საბჭოთა ადამიანს აღზრდ[...] კომუნისტური მორალის, მაღა[...] შეგნებულობისა და იდეურობ[...] შრომისმოყვარეობისა და დისც[...]პლინის, საზოგადოებრივი ინტე[...]რესებისადმი ერთგულების სულ[...]სკვეთებით. უდიდეს როლს ამა[...] შეასრულებს სკკპ პროგრამაშ[...] ჩამოყალიბებული კომუნიზმი[...] მშენებლის მორალური კოდექს[...] რომელიც შეტანილია წესდებაშ[...] ეს კოდექსი გახდება პარტიის წე[...]ვრის ქცევის ნორმა, ის კამერტო[...]ნი, რომლითაც თვითონ კომუნისტ[...] და პარტიული ორგანიზაცია შე[...]მოწმებენ და შეაფასებენ თავია[...]თი პარტიული ამხანაგების მორა[...]ლურ თვისებებს.

ამრიგად, წესდების პროექტი[...] ყველა დებულება, რომლებიც პი[...]რველადს ორგანიზაციებს შეეხება, მოწოდებულია კიდევ უფრო აამაღლოს მათი როლი, უფრო აქტიური და ბრძოლისუნარიანი გახადოს ისინი კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანების გადაწყვეტაში.

წესდების პროექტი ფართოდ განიხილეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, რაიონული, საქალაქო, საოკრუგო, საოლქო, სამხარეო პარტიულ კონფერენციებსა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ყრილობებზე, რომელთა მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღო ცხრა მილიონზე მეტმა კომუნისტმა. წესდების პროექტის შესახებ მოხსენებების გამო კამათში გამოვიდა მილიონნახევარზე მეტი კაცი. პარტიულ ორგანოებში, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებში შემოვიდა 120 ათასზე მეტი წერილი, რომლებიც შეიცავდნენ სხვადასხვა შენიშვნებსა და დამატებებს წესდების პროექტისათვის.

ჩვენ სრული საფუძვლით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკკპ წესდების პროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღო მთელმა პარტიამ, ყველა კომუნისტმა. უკლებლივ ყველა პარტიულ კრებაზე, კონფერენციასა და ყრილობაზე წესდების პროექტმა ერთსულოვანი მოწონება პოვა.

კომუნისტთა წინადადებები და შენიშვნები შეეხება პარტიის შემდგომი განვითარების, შინაპარტიული დემოკრატიის, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პრინციპების განვითარების, პარტიის წევრობის, კომუნისტის მოვალეობისა და უფლების ბევრ საკითხს.

სკკპ წესდება, რომელსაც პარტიის XXII ყრილობა მიიღებს, ამბობს ამხ. კოზლოვი, დაეხმარება თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას, თვითეულ კომუნისტს განსაზღვრონ თავიანთი ადგილი საერთო-სახალხო ბრძოლაში, გახამკეცებული ენერგიით იბრძოლონ ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

ხელმძღვანელობს რა სკკპ პროგრამით, ჩვენი ეპოქის ამ დიადი დოკუმენტით, რომელიც მრავალი წლისათვის განსაზღვრავს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის მიზნებსა და ამოცანებს, განუხრელად იცავს რა ლენინურ ნორმებსა და პრინციპებს, რომლებიც ასახულია წესდებაში, პარტია უფრო მჭიდროდ შეაკავშირებს თავის რიგებს, გააფართოებს და განამტკიცებს კავშირს მშრომელ მასებთან და გაუძღვება ჩვენს ხალხს პირდაპირი და ნათელი გზით კომუნისტური საზოგადოების გამარჯვებისაკენ.

ამხ. ფ. რ. კოზლოვის მოხსენების დროს არაერთხელ გაისმა მქუხარე, ხანგრძლივი ტაში.

ლელო

ფ.-2 კ. № 176 (1812)

# საბჭოთა კავშირის 1961 წლის ჩემპიონები სამბოში



ლ. კაციაშვილი (საქართველო) — ხ. კეროდი (რსფსრ) — ო. სტეპანოვი (მოსკოვი) — თ. არაბული (საქართველო) — ვ. მარიამული (საქართველო) — ო. კარაშჩუკი (მოსკოვი) — გ. შულცი (მოსკოვი) — ა. კიკნაძე (საქართველო)

# თასმა დატოვა მოსკოვი

✦

**საბჭოთა კავშირის 1961 წლის გუნდური პირველობა ჩოგბურთში**

✦

ფინალში არ თამაშობდა მოსკოვის ჩოგბურთელთა გუნდი, გუნდი, რომელიც წლების მანძილზე არავის უთმობდა უძლიერესის სახელს საბჭოთა კავშირში. ეს მოხდა კვირას, „დინამოს“ კორტებზე გამართულ საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობის გათამაშების დასკვნით დღეს.

მოსკოველი ჩოგბურთელები თბილისელებთან ერთად უყურებდნენ ესტონეთისა და რსფსრ-ს კოლექტივების ბრძოლას გარდამავალი თასისათვის, რომელიც წლების მანძილზე რჩებოდა მოსკოვში.

ესტონეთისა და რსფსრ-ს გუნდები პირველად იყვნენ ჩემპიონობასთან ასე ახლო და გუნდის გამარჯვება თვითეული მონაწილის მაქსიმალურ შესაძლებლობათა გამომჟღავნებაზე იყო დამოკიდებული.

ბალტიისპირელებს პირველ ორ შეხვედრაში არაფრის შიში არ ჰქონდათ — მათმა გოგონებმა — მ. კულმა და ტ. კივიმ ცხადყვეს, რომ ისინი უძლიერესნი იყვნენ თანატოლ ჩოგბურთელთა შორის. ორივე სპორტსმენი ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და ო. შმელისა და ა. შიშოვას დამარცხებით პირველი ორი ქულა ჩაწერეს ესტონელთა აქტივში. პ. ლამპმა ა. დონცოვზე გამარჯვებით ეს ანგარიში სამამდე გაზარდა, მაგრამ მომდევნო შეხვედრებში რსფსრ-ს წარმომადგენლებმა ა. იაპრინცევმა, ვ. ვასილევმა და ვ. ტროშკინამ შესაბამისად ი. ვახტერის, ა. იუხველტისა და ვ. ტამმის დამარცხებით ანგარიში გაათანაბრეს — 3:3.

ამის შემდეგ ესტონელმა ქალებმა ხ. უსტოვმა და მ. ტირუკემ თავისი გუნდი ორი ქულით გაიყვანეს წინ დაამარცხეს რა ი. ნოვაკი და კ. გლუხოვა.

რსფსრ-ს წარმომადგენელთა იმედი ვერ გაამართლა საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა — რ. სივოხინმაც, რომელმაც ვერაფერი გააწყო თ. ლეიუსის წინააღმდეგ და გამარჯვება ამ უკანასკნელს დარჩა—6:4, 4:6, 3:6, 6:1, 6:1, ესტონელთა წარმატება საფუძვლიანად განამტკიცეს ი. პარმასმა, ე. კედარსმა და ხ. ხიოპმა, რომლებმაც შესაბამისად დაამარცხეს ვ. ანისიმოვი, ნ. ბორცოვი და ვ. შაპირო. საერთოდ, ვაჟთა 6 შეხვედრიდან მხოლოდ გ. სკურსკიმ მოუტანა ერთადერთი ქულა რსფსრ-ს გუნდს.

ერთეულთა შეხვედრების შემდეგ ანგარიში ესტონელებს მიყავდათ — 10:4 და გარდამავალი თასის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო, რადგან 12 ქულის დაგროვების შემთხვევაში გუნდი გამარჯვებული გამოდიოდა.

ორი ქულის მოპოვება ძნელ ამოცანას აღარ წარმოადგენდა ესტონელებისათვის და იგი წარმატებით განახორციელეს მოზარდ გოგონათა წყვილმა (კული-კივი) და შერეულმა წყვილმა (კული-პ.ლამპი).

დანარჩენი შეხვედრები მხოლოდ მაყურებლებისათვის ჩატარდა და გარდამავალ თასს ესტონეთის გუნდი დაეპატრონა.

**გ. სამსონაძე**

# ნ. გაფრინდაშვილის პირველი გამარჯვება ლ. ვოლპერტთან



## ვრნიაჩკა-ბანია

პრეტენდენტთა ტურნირის ორგანიზატორებმა თავიდანვე შეგნებულად ისე ჩაატარეს კენჭისყრა, რომ ხუთივე საბჭოთა ოსტატი ერთმანეთს შეხვედროდა სტარტზე. ეს ნაბიჯი აიხსნება იმით, რომ ფინიშზე ერთი ქვეყნის მოჭადრაკეებს არ დარჩეთ რაიმე „კომბინაციების“ საშუალება. მართალია, საბჭოთა მოჭადრაკეები ამაში არასოდეს ყოფილან შემჩნეული, მაგრამ „სიფრთხილეს თავი არ სტკივაო“. თითქოს ამ უნდობლობამ „გააბრაზა“ ჩვენი მოჭადრაკეები და ისინი მთელი ენერგიით ეთამაშებიან ერთმანეთს. უკვე პირველ ორ ტურში ზვორიკინამ მოუგო ვოლპერტს, ხოლო ამ უკანასკნელმა — ზატულოვსკაიას.

III ტურში, რომელიც 30 ოქტომბერს შედგა, ბრძოლის სიმძაფრით კვლავ გამოირჩეოდა საბჭოთა მოჭადრაკეების პარტიები.

გაფრინდაშვილი შეხვდა ვოლპერტს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ადრე ლენინგრადელი ოსტატი ხშირად „ჩაგრავდა“ თბილისელ მოჭადრაკეს. მას არასოდეს არ მოეგო ვოლპერტისათვის, თუმცა ბევრჯერ გამარჯვებისადმი ლტოლვაში ყაიმისათვის უთქვამს უარი. ამჯერად საქართველოს ჩემპიონის მისწრაფებამ ხორცი შეისხა. მან დაამარცხა ვოლპერტი და ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

საბჭოთა ოსტატების — ზატულოვსკაია-ზვორიკინას პარტია, ისე როგორც კიდევ სხვა ხუთი პარტია, არ დამთავრებულა. რთულ მდგომარეობაშია შეწყვეტილი ლაზარევიჩის პარტია ამერიკელ გრესერთან.

მოულოდნელი აღმოჩნდა უძლიერესი იუგოსლაველი მოჭადრაკის ნედელკოვიჩის ყაიმი მონღოლ ჰუნდსურენთან, რომელიც პირველად მონაწილეობს ესოდენ დიდ ტურნირში. კიდევ ერთი ყაიმი ფიქსირებულ იქნა შოდე დე სილან-ნიკოლაუს შეხვედრაში.

III ტურის შემდეგ ნ. გაფრინდაშვილს 3 ქულა აქვს, მ. ლაზარევიჩს — 2 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

# ? ვინ გადავა „ა“ კლასში ?

## მდგომარეობა გათანაბრდა

„ა“ კლასის პრეტენდენტთა მეორე წრის პირველ მატჩზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. ქუთაისის „ტორპედოს“, რომელმაც ტალინის „კალევთან“ პირველ მატჩში შესანიშნავი თამაში აჩვენა, მაგრამ წააგო, არაფერი ჰქონდა დასაკარგი. იგი მოედანზე გამოვიდა რევანშის დიდი სურვილით. გამარჯვების შემთხვევაში მათ ყველა გზა ეხსნებოდათ „ა“ კლასისაკენ.

მატჩი დაიწყო ქუთაისელთა შეუნელებელი იერიშებით. თავდამსხმელები, სადაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა ცენტრი ხაჟალია, მთელს მოედანზე დომინირებდნენ, ზედიზედ ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს და „კალევის“ დაცვას მოფიქრების, თამაშის დალაგების საშუალებას არ აძლევდნენ. ხოლო „ტორპედოს“ მცველებმა მოწინააღმდეგის ანსამბლიდან მთლიანად გამოთიშეს მათი წამყვანი ფეხბურთელი ნელი.

მიუხედავად ამისა, ქუთაისელებს მთელი ნახევარსაათიანი ბრძოლის გადახდა დაჭირდათ კარის ასაღები გზის მოსაძებნად. დაბოლოს, იგი ნაპოვნი იქნა მარცხენა ფრთაზე, სადაც მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში თითქმის ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა მაჭარაშვილი. ამ ხნის განმავლობაში მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე ქუთაისელები ორჯერ შეიჭრნენ და ორჯერვე ლეუავამ დაჰკარგა კარგი შესაძლებლობანი, როცა ჯერ ააცილა კარს, ხოლო შემდეგ ბურთი ხელში მისცა მეკარე ბელიაევს. ამ პერიოდში ქუთაისელებიც გადარჩნენ საკუთარ კარში გოლის მიღებას, კ. კოლომ ხელსაყრელ მდგომარეობაში მიიღო ბურთი, უძლიერესი დარტყმით გაგზავნა იგი კარისაკენ, მაგრამ ურუშაძე მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა.

ბრძოლა გამწვავდა. ინდივიდუალურ თამაშში ქუთაისელთა უპირატესობა თანდათან ნათელი გახდა. გახშირდა მათი სახიფათო გარღვევები და 31-ე წუთზე გომელაურ-მაჭარაშვილ-ხაჟალიას კომბინაცია დამთავრდა გოლით — 1:0. ამ მარცხმა კიდევ უფრო დააბნია ტალინელი ფეხბურთელები და ახალი ენერგია შემატა ქუთაისელებს. ახლა ისინი მთლიანად დასახლდნენ „კალევის“ ნახევარზე, მაგრამ ანგარიში ველარ გაზარდეს, რადგან მათმა მოწინააღმდეგეებმა მთელი ძალები დაცვაში გადაისროლეს.

შეხვედრის განახლების შემდეგ თამაშმა სახე იცვალა. ტალინელებმა დაიწყეს თავგამოდებული იერიშები, ცდილობდნენ რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, მოეპოვებინათ თუნდაც ერთი ქულა. ერთ-ერთი იერიშის შემდეგ კარგ მდგომარეობაში მყოფმა ზოხიმოვმა კარს ააცილა, ხოლო რამდენიმე კუთხური, რომლის უფლებაც ტალინელებმა მიიღეს, წყლის ორი წვეთივით გავდა ერთმანეთს — გათამაშების ნაცვლად ისინი ბურთს ყოველთვის აწვდიდნენ საჯარიმო მოედანზე და ყოველთვის ქუთაისელთა მეკარე ეუფლებოდა მას. ქების ღირსია „ტორპედოს“ დაცვა, განსაკუთრებით ცხოვრებოვი, ნიშნიანიძე და სარჯველაძე.

ტალინელთა იერიშები 15 წუთს გაგრძელდა, შედეგს ვერ მიაღწიეს და საბოლოოდ დაჰკარგეს ქუთაისელთა კარის აღების ყოველგვარი იმედი. ახლა მათი საზრუნავი იყო ანგარიშის შენარჩუნება, რადგან ბურთების შეფარდებამ შეიძლება გადამწყვეტი როლი შეასრულოს.

ამრიგად, „ტორპედომ“ მოიპოვა დამსახურებული გამარჯვება — 1:0. ახლა ქულების მიხედვით მდგომარეობა გათანაბრდა, მაგრამ ერთგვარი უპირატესობა ქუთაისელთა მხარესაა, რადგან მისი კონკურენტი აშკარად დაიღალა და ხაეჭვოა „ლოკომოტივმა“ რომ ვერ შეძლოს რევანშის აღება.

**ზ. ქორქია,**
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი,
კიშინიოვი.



## „დინამო“ (ბათუმი)-„რიწა“ (სოხუმი) — 1:0

ეს იყო მოკავშირე რესპუბლიკათა პირველი ზონის გუნდების უკანასკნელი მატჩი ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში, რომელიც გამოტოვებული იყო გუნდების საკავშირო თასის გათამაშებაში მონაწილეობის გამო. მატჩმა ბათუმელი სპორტის მოყვარულების დიდი ინტერესი გამოიწვია და მართლაც იგი საკმაოდ დაძაბულად მიმდინარეობდა. ორივე გუნდი ცდილობდა მოეპოვებინა გამარჯვება და ერთგვარად გაეუმჯობესებინა მდგომარეობა სატურნირო ცხრილში. გამარჯვება განსაკუთრებით სჭირდებოდათ ბათუმელებს, რომლებსაც შეეძლოთ მეშვიდედან მეექვსე ადგილზე გადანაცვლება.

პირველ ნახევარში მოწინააღმდეგეებმა ვერ შეძლეს ანგარიშის გახსნა, თუმცა ამის შესაძლებლობა ჰქონდა როგორც ერთ, ისე მეორე გუნდს. შესვენების შემდეგ ერთგვარი უპირატესობა ბათუმელთა მხარეს იყო. მეათე წუთზე „რიწის“ ფეხბურთელები თავიანთ კარიდან დაახლოებით 18 მეტრზე დაჯარიმდნენ. დინამოელმა პატარაიამ ძლიერი დარტყმით კარგად გააძვრინა ბურთი „კედელში“, სოხუმელთა მეკარემ არასწორად მოიგერია იგი. ბურთს მიუსწრო ნინუამ და ანგარიში გახსნა — 1:0. დარჩენილ დროში სოხუმელთა ცდა — გაეთანაბრებინათ ანგარიში, ამაო გამოდგა.

მატჩი მოიგო ბათუმის „დინამომ“ — 1:0, მოაგროვა 35 ქულა და მეექვსე ადგილი მოიპოვა.




ეროვნული ბიბლიოთეკა



შეხვედების დროს ყოველთვის გამოცოცხლებაა კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნის სპორტულ ბაზებზე. სურათზე: ჩარხმშენებელი კალათბურთელები ატარებენ მორიგ მეცადინეობას.

ფოტო ხ. კრუჟკოვისა.

## გათამაშდა თასები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას მიეძღვნა „განთიადის" უძლიერეს მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირი, რომელშიც ოთხ ქვეჯგუფად დაყოფილი ოთხმოცამდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

ვაჟთა ფინალურ შეხვედრებში უძლიერესის სახელი და „განთიადის" თასი მოიპოვა ღვინის № 2 ქარხნის მუშაკმა ა. ჭეხაშვილმა, ქალთა შორის — „ისანის" საკლუბო გუნდის წარმომადგენელმა გ. სიჩოვამ.

★

## ოსტატის ნორმა

რუსთავში გაიმართა სპორტსაზოგადოება „განთიადის" რესპუბლიკური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ძალოსნობაში.

გუნდურ შეჯიბრებაში კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ქუთაისელმა ძალოსნებმა. გარდა იმისა, რომ მათ საერთო მეორე ადგილი დაიკავეს თბილისელებს შემდეგ, ცალკეულ წონებშიც კარგად მომზადებული სპორტსმენებიც გამოიჩნდნენ. ასეთია რუსთაველის საშუალო წონის ძალოსანი დ. ქათამაძე, რომელმაც სამჭიდში 382,5 კგ დააგროვა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ გ. თავაძე, კ. მარტიროსიანი, გ. კასრელიშვილი, ნ. ინჯგია (ყველა თბილისიდან), გ. კოსტავა, დ. მუშკუდიანი, პ. ნიქაბაძე (სამივე ქუთაისიდან), გ. სანიკიძე (თბილისი) და ა. გოგოლაური (რუსთავი).

ი. ხაზეიშვილი

## ვარშავა

საკავშირო პირველობის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელები საერთაშორისო ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად გაემგზავრნენ საზღვარგარეთ და უკვე გამართეს რამდენიმე შეხვედრა. პოლონეთში იმყოფება რიგის „დაუგავა". მას პირველი მატჩი ჰქონდა ვარშავაში ადგილობრივი გუნდების „გვარდიასა" და „ლეგიას" ნაკრებთან. მატჩის ორივე ნახევარში რიგელებმა (კონოვალოვმა) გაიტანეს თითო გოლი და გაიმარჯვეს — 2:0.

## ფხენიანი

ხარკოვის „ავანგარდი" კორეა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის აღსანიშნავად მატჩებს მართავს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ფხენიანის სტადიონ „მორანბონზე" ხარკოველთა წინააღმდეგ პირველ მატჩში გამოვიდა არმიელთა გუნდი „8 თებერვალი". გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0.

## ბერლინი

1944 წელს ჰიტლერელმა ფაშისტებმა საშინელი წამების შემდეგ ვერაგულად მოჰკლეს ცნობილი გერმანელი მოჭიდავე, პატრიოტი და ანტიფაშისტი ვერნერ ზეელენბინდერი. დაღუპული გმირის პატივსაცემად გდრ-ში ყოველწლიურად ეწყობა საერთაშორისო ტურნირი ევროპის უძლიერეს მოჭიდავეთა მონაწილეობით.

წლევანდელ შეჯიბრებაში, რომელიც 28 ოქტომბერს დაიწყო, მონაწილეობდნენ პოლონეთის, რუმინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, საბჭოთა კავშირის უძლიერესი მოჭიდავეები. საბჭოთა კავშირი ამ ტურნირში წარმოდგენილი იყო 6 სპორტსმენით, რომელთა შორის ხუთმა პირველი ადგილი დაიკავა.

გამარჯვებულთა შორის არიან ვ. ჩუჩალოვი (კლასიკური ჭიდაობა, საშუალო წონა) და თხი თავისუფალი სტილით მოჭიდავე—ი. იბრაგიმოვი (მჩატე წონა), ნ. ხოხაშვილი (ქვემსუბუქი წონა), გ. გორბატენკო (ქვესაშუალო წონა) და რ. აიხანოვი (მძიმე წონა).

თასის მფლობელთა თასის გათამაშების მეორე წრეში გაიმართა კიდევ ოთხი მატჩი. დასავლეთ გერმანიის „ვერდერმა" (ბრემენი) ანგარიშით 2:0 მოუგო დანიის თასის მფლობელს „ორხუსს". შოტლანდიის თასის მფლობელმა „დანფერმლაინმა" მიიღო იუგოსლავიის თასის მფლობელი „ვარდარი" და დაამარცხა იგი დიდი ანგარიშით — 5:0.

იტალიის გუნდმა „ფიორენტინამ" საკუთარ მოედანზე მოუგო ვენის „რაპიდს" — 3:1. ფრედ — 1:1 დამთავრდა მატჩი ინგლისის „ლესტერომსა" და ესპანეთის „ატლეტიკოს" (მადრიდი) შორის.

რედაქტორი ი. უგულავა.

## პროფესიონალური ზღუდეები

რაც დრო გადის, მით უფრო შესამჩნევი ხდება ის დიდი განსხვავება, რომელიც არსებობს მოყვარულთა და პროფესიონალურ სპორტს შორის უცხოეთში. კრივში ეს ზღუდე იმდენად მაღალია, რომ მოყვარულთა შეჯიბრებებისადმი ინტერესი კატასტროფულად კლებულობს. უკანასკნელ ხანებში მსგავსი პროცესი ჩოგბურთშიც შეიმჩნევა იმ განსხვავებით, რომ მაყურებელთა გარკვეული კონტიგენტი მას ჯერჯერობით შემორჩა.

ინგლისის ღია ჩემპიონატი და მსოფლიოს არაოფიციალური პირველობა — უიმბლდონის 75-ე საიუბილეო ჩემპიონატი, კიდევ ერთი ახალი ნაბიჯი იყო მოყვარულთა ჩოგბურთის რეგრესის გზაზე. წლევანდელმა უიმბლდონმა სერიოზული შეშფოთება შეიტანა ჩოგბურთის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელთა შორის. „უჩემპიონო ჩემპიონატი" — ასე უწოდეს მას უცხოეთის სპორტულმა მიმომხილველებმა, რადგან საიუბილეო ტურნირში წინა წლების არც ერთი ჩემპიონი არ გამოდიოდა. არ იყვნენ იქ გონზალესი და ჰოადი, გიმენო და ტრაბერტი, ბუჰგოლცი და კუპერი, არ იყვნენ ისინი, ვინც წარსულში უიმბლდონის ტურნირის მთავარ ღერძს წარმოადგენდნენ.

პროფესიონალური ჩოგბურთი ნთქავს ყველაფერ კარგს, რაც მოყვარულთა ჩოგბურთს გაჩნია, ასე შთანთქა „ჯეკ კრამერის ცირკმა" უიმბლდონის პოპულარული გმირები და ამით ინტერესი დაუკარგა ამ საინტერესო ტურნირს. როდ რეივერი, საიუბილეო ჩემპიონატში გამარჯვებული, აი ერთადერთი მაღალი კლასის ჩოგბურთელი, რომელიც უიმბლდონმა გამოამზეურა.

საერთაშორისო ჩოგბურთის მესვეურები პანიკაში არიან. ისინი ყოველგვარი ხერხებით ცდილობდნენ „გადახვეწილი ბიჭების" დაბრუნებას, მაგრამ მათ წინააღმდეგ აღმართულია ვეებერთელა პროფესიონალური ზღუდეები. არც ჯეკ კრამერის ცირკს აქვს კარგად საქმე, რადგან მასში არ არის მოყვარულთა ჩოგბურთისათვის დამახასიათებელი მწვავე შინაარსიანი ბრძოლა და ყველაფერი სანახაობრივ ეფექტზეა დამყარებული.

უცხოეთში ახლა სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ბოლოსდაბოლოს უნდა მოიხსნას ზღვარი პროფესიონალურ და ჩოგბურთის მოყვარულთა შორის. მაგრამ ეს იმდენად რთული და ძნელად გადასაწყვეტი პრობლემაა, რომ ამას მხოლოდ ჩოგბურთის „განაწყენებული" მესვეურები ვერ გადასწყვეტენ.

## ლიდეროზს ჩემპიონი

ავსტრიის 1961–62 წლების ჩემპიონატი დაიწყო „აუსტრიას" 5 რიგითი მოგებით. ჩანს „აუსტრია" ამჯერადაც არ აპირებს ვინმეს დაუთმოს პირველობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი გამარჯვება „რაპიდთან". ჩემპიონის შემადგენლობაში გამოირჩევა ავსტრიის ეროვნული ნაკრების სამი „ბურჯი" — 19 წლის მეკარე ფრიალდი, რომელსაც ბრწყინვალე მონაცემები აქვს, 34 წლის ცენტრალური მცველი, „რკინის" შტოტცი და ნემეცი, რომელიც თავის გუნდში ცენტრფორვარდია, ეროვნულ ნაკრებში კი მარჯვენა გარემარბი.

მეორე ადგილზეა „რაპიდი". უკანასკნელ ადგილზე არიან „ვინერ ნოიშტადტი" (2 ქულა) და განთქმული „ვიენა" (1 ქულა). როგორც ცნობილია, „ვიენაში" თამაშობს ავსტრიის ეროვნული ნაკრების ცენტრფორვარდი ბუცეკი.

ავსტრიის ნაკრები, რომელიც აგრძელებს თავის გამარჯვებათა სერიას, მიმდინარე წლის ბოლომდე შეხვდება იუგოსლავიის ნაკრებს ზაგრებში. შემდეგ ავსტრიელები ეწვევიან ბრაზილიას.

ვარშავა. მსოფლიო ჩემპიონატი ციგურაობაში დაიწყება 1962 წ. 17 თებერვალს ზაკოპანეში (პოლონეთი). ჯერჯერობით მასში მონაწილეობაზე განაცხადი შეიტანა ათმა ქვეყანამ, მათ შორის საბჭოთა კავშირმა, შვეციამ, იაპონიამ, კანადამ, ფინეთმა, იტალიამ და სხვებმა.

**ბუქარესტი.** აქ დამთავრდა რუმინეთის 1961 წლის ჩემპიონატი ჭადრაკში ქალთა შორის. პირველი ადგილი შეინარჩუნა შარაშანდელმა ჩემპიონმა, საერთაშორისო ოსტატმა ალექსანდრა ნიკოლაუმ. მან 15 თამაშიდან 11,5 ქულა მოაგროვა.

**ბარსელონა.** დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ლუნდკვისტი (შვეცია) და რეიესი (მექსიკა). გაიმარჯვა შვედმა ჩოგბურთელმა 6:3, 6:4, 6:4 და დაიკავა პირველი ადგილი.

## რ. ნეჟმეტდინოვი — ფინალში

რუსეთის ფედერაციის საჭადრაკო პირველობას დაეთმო სამი ადგილი XXIX ჩემპიონატში. მაგრამ პირველობამ მხოლოდ ერთი ფინალისტი — გროსმაისტერი ლ. პოლუგაევსკი გამოავლინა, რადგან მომდევნო ხუთი ადგილი გაიყვეს ლ. ბელოვმა (ომსკი), გ. ბორისენკომ (სვერდლოვსკი), რ. ნეჟმეტდინოვმა (ყაზანი), ა. ლეინმა (ლენინგრადის ოლქი) და ვ. ანტოშინმა (მოსკოვის ოლქი). კიდევ ორი ფინალისტის გამოსავლინებლად დაინიშნა დამატებითი მატჩ-ტურნირი, რომელშიც არ ითამაშა მხოლოდ ბორისენკომ. იგი მწვრთნელად გაჰყვა თავის მეუღლეს ვ. ბორისენკოს ვრნიარკა-ბანიაში.

საუცხოოდ ჩაატარა მატჩ-ტურნირი საერთაშორისო ოსტატმა ნეჟმეტდინოვმა, რომელმაც 4 ქულა მოაგროვა 6-დან. მაგრამ ერთი ფინალისტი მაინც გაურკვეველი დარჩა. ანტოშინმა და ლეინმა 3 ქულით თვითეულმა გაიყვეს მეორე-მესამე ადგილები. ისინი განაგრძობენ ბრძოლას პირველ მოგებამდე.


# 2-3 ნოემბერი

კიროვის სახ. პარკის კალათბურთის სტადიონი

საქალაქთაშორისო შეჯიბრება

## ხელბურთში

[7X7]

მოსკოვი - თბილისი

(ვაჟთა ნაკრები გუნდები)

დასაწყისი 17 ს. 30 წ.

# 1-5 ნოემბერი

ლენინის სახ. დარბაზი

საქართველოს პირველობა „ა" კლასის გუნდებს შორის

დასაწყისი 10 ს. და 17 ს.



გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04094